ფასი 60 ფაბ.

ახალი ნაკადი

საქართველოს მეძარცხვნე რევოლუციონერ-უფლებრივ მაჟურალისტ მაჟურალისტთა ბიბლიოთეკა

ჩუთშაბათი, 3ს. იანვარი.

№ 4 1919 წ.

გამოდის ამოცანილად გამოდ კვირაში ორჯერ—ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით.

შაბათს, 1 თებერვალს, ხალამოს 7 ხაათზედ დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში“

გამართული იქნება

დიდი სალამო-მიტინგი

3. განყოფილებით.

საქართველოს მეძარცხვნე ს.-დ. მაშურალთა პარტიის სასახარგებლოდ

დამსწრეთ ბილეთები გამოიდგებათ დამის 3 საათამდის.

დაწვრილებით აფიშებში.

[illegible] 30.

მომენტის-თვის. ამხანაგებო! დღეს თქვენ წაიკითხავთ ჩვენ შეხვდულებას დამფუძნებელ კრებასა და რევოლიუციის შესახებ. აქ მოკლედ არის აღწერილი ის თუ რის გაკეთებას თავს იდებს მეგმარცხვნე სოც.-დემ. პარტია, თუმცა ცოტა ხანია რაც გამოვედით ცხოვრების აქტიურ ბრძოლაში, მაგრამ იმედი გვაქვს რომ თქვენ მშრომელნო ხალხნო! სრულის შეგნებით ამოუდგებით გვერდით ჩვენ ახალ პარტიას. რევოლიუციის ქარტეხილმა თქვენ საკმაო გაკვეთილი მოგცათ თუ ვინ არის თქვენი მტრები და მოყვარეები. დღეს ამ დიდი აქტის წინაშე მათ საესებით გამოაშელავნეს თავიანთი შავი გული. ზოგი აქტიურ ბოიკოტს უცხადებს დამფუძნებელ კრებას, არა რასაკვირველია რევოლიუციონური მიზნებით, არამედ სურსთ ამ ვერაგ და მუხანათებს სრულიად ჩაკლან ყოველგვარი რევოლიუცია და ჩვენი თავისუფლება. დანარჩენი პარტიები ჩვეულებისამებრ ფართე სიტყვებით და დაბინრებებით გიმახპინძლდებიან, მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი არ მოსტყუვდება, რადგან ორი წლის რევოლიუციამ ჯეროვანი გაკვეთილი მოგცათ თუ ვისზედ არის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება დამოკიდებული. დაირაზმენით ამხანაგებო არჩევნებისათვის, და ასე რევოლიუციონურად დარაზმულნი შევეგებოთ ახალ სამეფოს, სოციალიზმს, რომლის ამოსულ სხივებს ელვის სისწრაფით ემატება ცხოველმყოფელება. წარვსდგეთ მის წინაშე.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა მიმართ!

ამ ცოტა ხანში თქვენ უნდა შეასრულოთ დიდი მოქალაქობრივი მოვალეობა, თქვენ დამფუძნებელი კრების არჩევნებში საესებით და დამოუკიდებლით უნდა გამოთქვამენოთ თქვენი სურვილი და ნებისყოფა. **საქართველოს დამფუძნებელი კრება** **უნდა გამოხატავდეს მხოლოდ რევოლიუციონურად დარაზმულ ქართველი მშრომელი ხალხის ზრახვებს.** დიდმა რევოლიუციამ არსებითად დაანგრია ძველი წეს-წყობილება, შრომის მონობისა და ვრცელ ჩაგვრაზე რომ იყო აშენებული. მშრომელმა ხალხმა, შეასრულა პირველი მოვალეობა თავისუფლების მიმართ, ხოლო დღეს მის წინაშე უფრო დიდი და რთული ხაკითხია გადასაწყვეტი. შექმნა და განმტკიცება ამ პირობებისა, რომელთაც მშრომელი ხალხი უნდა საბოლოოთ დაახლოვონ ბრწყინვალე მომავალს — სოციალიზმს. დამფუძნებელი კრება ამ მხრივ შეკავშირებული მშრომელი ხალხის სრულს კანტროლსა და მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს, დრო არის რომ მშრომელთა ლაშქარმა ერთხელ და ხამუდამოთ დაიბეჭითოს, რომ მისი საბოლოო განთავისუფლება მხოლოდ მათი ხაქმეა, რომ იგი უნდა ილაშრომოდეს იმ ადამიანთ წინააღმდეგ, რომლებიც მათი კეთილისმყოფელებად გამოდიან, ვინაიდგან იდეა ფილანტროპიისა და ქველმოქმედებისა ასუსტებს კლასთა შორის ბრძოლას და აძლიერებს კლასთა შორის ხოლიდარობას.

დამფუძნებელი კრების არხევობასა და მუშაობის მხოლოდ ამ პირობებში სთველის მიზან-შეწონილად და ხასარგებლოთ საქართველოს მემარცხვნე სოც.-დემ. მაშურალთა პარტია და აქეთკენ მიაქცევს იგი საქართველოს რესპუბლიკის მშრომელი ხალხის უმთავრეს ყურადღებას.

დღეს საქართველოს მშრომელ ხალხს თავისუფალ საქართველოში უხდება ზრდა და განვითარება და ბუნებრივია რომ იგი, მთელის არსებით დაიცავს თავის ქვეყნის თავისუფლებას, ვინაიდგან მხოლოდ თავისუფალ ერის მშრომელ ხალხს შეუძლია მედგრათ ბრძოლა სოციალიზმისათვის, **ამიტომ ჩვენი პარტია** მთელი ძალ-ღონით **შეეცდება** საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებასა და დაცვას. მაგრამ ჩვენ გეფიქრობთ რომ ერთა თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქმნება განსახორციელებული, მაშინ შეიხამს ხორცს ყველა ხალხის მშრომელთა მაღალი სულიერ-ეროვნული ყური ამ ეტაპად მიპყრობილია დასავლეთ ევროპის ჩვენი ძმების იმპერიალისტებთან ბრძოლისკენ. ჩვენ ღრმადა გვჯერა, რომ ბოლოს პირველი გაიმარჯვებს მეორეზე, და ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი პატარა ხმა ამ თავითვე შეეურთდეს დასავლეთ ევროპის მშრომელთა თავგანწირულ ბრძოლას. თანამედროვე უმაგალითო ომის დროს, რომელსაც აწარმოებდა პირსისხლიანი იმპერიალიზმი, შოვინიზმისა და კაცთ-მოძულეობის ბოროტმა მოციქულებმა ერთი მეორეს დაუჯახეს სხვა და სხვა ენის მშრომელთა ბანაკი, და ძმას ძმას სისხლში ხელი გაასვრევინეს. მაგრამ ჩვენ შეურყეველად გვჯერა, რომ მთელდება ეს დროებითი უფსკრული და მთელი ძველის მაშრომელი ხალხი ერთის ნებით შეკავშირდება საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ დღე და ღამ ვიმუშავებთ ამ შეკავშირების განსახორციელებლად. დამფუძნებელ კრებაზე ჩვენ დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებთ ყველა მათ, ვინი სიტყვა და საქმეც მშრომელი ხალხის წინააღმდეგ იქნება მიმართული, ჩვენ არ მოვითმენთ, რომ თავისუფალ საქართველოს ხაზღვრებში რაიმე ძალადობას ექნეს ადგილი და პიროვნების უფლება, ეროვნების მიუხედავად, შეზღუდული. ჩვენი ხალხმწიფო უალრესად დემოკრატიული უნდა იყოს და წარმოადგენდეს თვითმართველ ერთეულების კონფედერაციას, რათა მშრომელი ხალხი პირის-პირ და უშუალოთ იღებდეს მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგო მუშებო! ქალაქის არჩევნებში მიეცით თქვენი ხმა მაშვრალთა ინტერესების დამცველთა ხიის №. იგი განამტკიცებს თქვენს უფლებებს თბილისის თვითმართველობაში. №-7

წილეობას სახელმწიფოს მართვა გამგეობაში.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თანამედროვე რევოლიუციის უმთავრესი პრობლემა სოციალური საკითხის სათანადო გადაჭრაა; უმნიშვნელოა მშრომელთ ხალხისათვის ის რევოლიუცია რომელიც მარტოოდენ პოლიტიკური ცვლილებებით კმაყოფილდება: ჩვენი **უმთავრესი საზრუნავი იქნება მშრომელი ხალხის საკეთილდღეო რეფორმის განხორციელება.** ჩვენ მოვითხოვთ **მუშათა** ფიზიკური და გონებრივი **განვითარებისთვის** სამუშაო დღის მინიმუმამდე შემცირებას, ჩვენ ვიბრუნებთ რათა ჩვენში ფართოდ მოეწყოს **მუშათა** პროფესიონალური კავშირები, აგებულნი წმინდა რევოლიუციონურ ნიადაგზე.

მშრომელი ხალხი თვით უნდა იღებდეს აქტიურ მონაწილეობას მრეწველობა-წარმოების საქმეში, ამისთვის ჩვენ მოვითხოვთ მუშათა კონტროლს და ვეცდებით პრაქტიკულად გავატაროთ იგი ცხოვრებაში. **მუშა** ბალნი **მეთვალყურეობის** ქვეშ **უნდა** იყოს რიგიანი და მიზანშეწონილი ხარჯვა მშრომელთა ენერგიისა და წარმოების ორგანიზაცია, **მუშათა** კონტროლმა **უნდა** შეამზადოს ნიადაგი მრეწველობის განსაზოგადოებისთვის. ჩვენ მოვითხოვთ სოციალურ დაზღვევას ბავშთა, დედათა ხანშესულთა ინვალიდთა ავადმყოფთა და უსაქმოდ დარჩენილთა მოვითხოვთ რომ აიკრძალოს ლოს მცირეწლოვანთა მუშაობა, დედაკაცთა მძიმე სამუშაოზე დაყენება და სხვა. ჩვენ აუცილებლად ვსთვლით მუშების დამქირავებლებთან კოლექტიურ ხელშეკრულებას. ჩვენი პარტია ფიქრობს რომ მშრომელთა განთავისუფლებისათვის აუცილებელია სოფლისა და ქალაქის მუშების დაახლოვება და იგი იბრუნებს მათ შეკავშირებისა და შეთანხმებისათვის.

მიწის საკითხში კატეგორიული მოთხოვნილება იქნება, რომ მთელი მიწა გადაეცეს დასამუშავებლათ და სასარგებლოთ სრულიად უფასოდ, მიწის მუშათა ამხანაგობათ; ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეფორმის გატარებას წინ უნდა უსწროდეს სოფლის მუშათა შორის დიდი კოოპერატიული მოძრაობა და მშრომელთა ასოციაციების დაარსება. ხალხმა პრაქტიკულადაც უნდა შეიგნოს სიდიადე, სარგებლობა და სამართლიანობა მიწის განსაზოგადოებისა. ჩვენ ერთ უმთავრეს მოვალეობათ ის ხა პრაქტიკუ შემზადების ცხოვრებაში გატარებას. არა მხოლოდ სიტყვებით და დეკრეტებით განხორციელდება ეს დიდი რეფორმა, არამედ უპირველესად ყოველისა ცოცხალი მაგალითების მეოხებით.

ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე კოლტურა და სწავლა განათლება მხოლოდ შეძლებულთა ხვედრია, ჩვენ ვიმუშავებთ, რომ იგი ხაყოველთაო იყოს და მშრომელი ხალხიც ეზიაროს მას, რათა ხრულყოს თვისი პიროვნება—კერძოდ ქალაქის ცხოვრებაში ჩვენ მოვითხოვთ: ა) მუნიციპალურ ავტონომიას, რათა მუნიციპალური ორგანოები თვის კომპენტენციის ფარგლებში დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, ამასთან ერთად ქალაქის მართვა გამგეობა დეცენტრალისტურ ნიადაგზე უნდა იყოს აგებული ამ მიზნით ქალაქის უბნებში განსაკუთრებული საბჭოები უნდა დაარსდენ. როგორც საერთო სახელმწიფოებრივ კანონმდებლობის საკითხში, ისე საქალაქო მოთვალწეობის სფეროში მოქალაქეთ უნდა ეკუთვნოდესთ რეფერენდუმისა და ინიციატივის უფლება, რომ მათ რეფერენდუმის საშუალებით შეეძლოთ ვადის გასვლამდის დაითხოვონ როგორც დამფუძნებელი კრება ისე ქალაქის საბჭო, თუ ისინი თავის დანიშნულებასა და მოვალეობას ვერ აასრულებენ. ქალაქის თვითმართველობამ უნდა აღიარონს ქალაქის მოსამსახურეთა და მუშათა კავშირების სინდიკატები. ჩვენ მოვითხოვთ სრულ მუნიციპალიზაციას წყლის მიწოდების, განათების, საქმეებისა—აფთიაქების, აბანოების, სამრეცხველოების და საზოგადოთ ისეთი დაწესებულებების, რომელნიც პირველი საჭიროების საგნების დამუშავებასა და მიწოდებას ემსახურებიან, მაგ. ფურნეები, წისქვილები, ხორცის და ნავთის დუქნები და სხვ. საქალაქო გადასახადები ისე უნდა იყოს განაწილებული რომ იგი მშრომელთა მასას არ უნდა, აწვებოდეს. ჩვენ შეეეცდებით რომ ქალაქის მიწათა ყიდვა გადაცემა აკრძალულ იქმნას, ჩვენ ვიბრუნებთ, რომ ქალაქმა აიგოს ჰიგიენური და იაფი ბინები ღარიბთათვის, ხოლო ზედმეტი ბინა ყველა სახლის პატრონს ჩამოერთვას და განაწილდეს უბინო მშრომელთა შორის.

ასეთია მოკლეთ და დაახლოებით ის პლატფორმა რომელსაც დაიცავს ჩვენი პარტია დამფუძნებელ კრებაზე და კერძოთ ქალაქის საბჭოში.

ამხანაგებო! თქვენ ხედავთ თუ რა ასულდგმულებს საქართ. მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიას, თქვენ ხედავთ, რომ იგი უმთავრესად იმ აზრითაა ჰირვეული, რომ მტლედ დაედგას მშრომელი ხალხის კეთილდღეობას და თქვენი ვალია შემოკრბეთ ამ პარტიის გარშემო და ხმა მისცეთ მის სიას.

ხაქ. მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის მთავარი კომიტეტი.

როგორ გვებრძვიან.

როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენი ყოფილი პარტიული ამხანაგები მთელის ძალ-ღონით ამხედრდენ ჩვენს წინააღმდეგ. ზოგი სიტყვით სცდილობს ჩვენს მოსპობას, ზოგი კალმით აპირობს ჩვენს განადგურებას და ზოგი კი საქმით. ერთი სიტყვით პარტიაში ქუდზე კაცია მოწვეული და ამ რიგათ მთელი მექანიზმია ამოძრავებული, წარმოიდგინეთ იგიც კი ვისაც პარტიული მუშაობა სასხვათა შორისოთ მიაჩნდა, წინათ მისთვის დიდათ არც კი იტკიებდა თავს, დღეს ისიც კი აფუსფუსებულა და თავის მხრივ სცდილობს ერთი წიხლი მაინც მოგვაბიოლოს. ისინი როდესაც ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას ეწევიან არსებულ პირობების კანონიერი შედეგია: გუშინდელი ამხანაგები დღეს გაიყარენ, რისი მიზეზიც ექვს გარეშეა ურთიერთ შორის უთანხმოება იყო და განსხვავება. და ეგ ვინაიდან ვიწრო ჩარჩოებში ვერ მოთავსდა გადალახა საზღვრები და დღეს აშკარა წინააღმდეგობის სახე მიიღო და საკითხის გამოსარკვევათ კამათი გინდ ბრძოლა აუცილებელია, და ჩვენც ამ ბრძოლას რა თქმა უნდა ბრძოლითვე ვუპასუხებთ, მაგრამ ის გეზი ბრძოლისა, რომელიც ჩვენს ყოფილს ამხანაგებს აუღიათ ყოველივე ღირსებას მოკლებულია და მიუღებელია. ისინი ჩვენს შეხედულებას, ჩვენს პრინციპებს კი არ ებრძვიან, იმას კი არ არკვევენ თუ რამ შექმნა ის პირობები, რომელმაც მთლიან პარტიაში განხეთქილება შეიტანა და ეგ განხეთქილება უმწვერვალესამდი აკიდა და პარტია დანაწილებამდი მიიყვანა, არა ისინი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. მათ ნიშანში ყავთ პიროვნებები ამოღებული და სცდილობენ ამ პიროვნებების პრესტიჟის დაცემას და ფიქრობენ რომ თუ ეგ პიროვნებები გაბიაბრუდა მაშინ თვით ახლათ შექმნილი პარტიაც ხუხულასავით დაინგრევა. უპირველესათ ყოვლისა ასეთი შეხედულება ყალბია, როგორც ვსთქვით, ამა თუ იმ პიროვნებათა დაცემა განადგურება პარტიას, მის შეხედულებებს ვერ მოსპობს, ვინ არ იცის ის, რომ როცა იესო ნაზარეველი ჯვარს აცვეს ეგონათ რომ მოისპობოდა მისი მოძღვრება, მაგრამ მოძღვრება იგი იმდენათ ცხოველ მყოფელი გამოდგა, რომ ღრმათ შეიჭრა ხალხის გულში, იგი მოედო მთელს მსოფლიოს და მის აღმსარებელს დღეს მეოცე საუკუნეში, მეორე ათასი წლის დასაწყისშიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წააწყდებით, ნუ თუ უნდა დავივიწყოთ გალილეი, რომელიც იმ იმედით იყო წამებული, რომ მას მისი ნააზრევი საფლავში თან ჩაყობოდა, მაგრამ ჭეშმარიტებამ თავი არ დამალა და მისი აზრები დღეს მეცნიერებას და განათლებულს კაცობრიობას უდავო ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ. დიახ პიროვნებათა მოსპობა თუ მათ მიერ აღსარებული აზრები ჭეშმარიტია იმ აზრებს ვერას დააკლებს, იგი ადრე თუ გვიან გაიკაფავს გზას და ნაყოფს ამოიღებს. გუშინ როდესაც ჩვენ ყველანი ერთს ჭერს ქვეშ ვიყავით და შეერთებულის ძალით ვებრძოლით საერთო მოწინააღმდეგეებს, რომელნიც სწორეთ ასეთი საშუალებით გვებრძოდენ ჩვენ ამ გზას ვუწუნებდით და ვუკიჟინებდით, და დღეს ჩვენ გვაკვირს და დიდათაც გვიკვირს, რომ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს ეგ დავიწყებიათ, ისევ მოუძებნიათ გაცვეთილი ანბანები და მით სცდილობენ ფონს გასვლას.

თუ გინდ ამ ფანდებით იბრძოლონ, ეს მათი ნება-სურვილია, მხოლოთ, ვითარცა „სოციალისტებმა" სიმართლე არ უნდა დამალონ, ეგ სიმართლე უნდა ამცნონ ხალხს და დეე, თვით ხალხმა დასდვას მსჯავრი ორთავეს, დეე იმან სთქვას ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი, ნუ თუ ყოფილნ ამხანაგებო პარტიის გათიშვა ჩვენი ახალი პარტიის რომელიმე წევრის პირადი ინტერესების მიხედვით მოხდა. ნუ თუ პარტიის დანაწილება პირადი ეინიანობის ბრალია და იგიც ჩვენის მხრივ თუ კი ამის საბუთები გაქვთ გამოამჟღავნეთ, ჩვენ მაშინ თავს დაგიკრავთ, მაგრამ თქვენი უბედურება ეს არის არც ერთი საბუთი ამის დასამტკიცებელი თქვენ ხელთ არა გაქვთ, თქვენ ამით ჩირქს ვერ მოსცხებთ ახლათ დაარსებულ პარტიას და მის დღევანდელს ხელმძღვანელებს, მხოლოდ ამით თქვენს წვრილმანობას ამტკიცებთ. დიახ ჩვენს შორის იყო პრინციპიალურ საკითხებში განსხვავება, ჩვენში იყო

ამხანაგებო!

მიემზადეთ არჩევნებისათვის. თქვენი ხმა მხოლოდ

მე-7 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავება ტაქტიკაშიაც: რათ გავიწყდებათ მეორე კონფერენცია, გაიხსენონ მესამე კონფერენციაც თქვენი მოვალეობაა, ეს ყოველივე გადაშალეთ ჩვენი საერთო პარტიის წევრების წინაშე, რაცა ისინი გეცნონ საქმის ვითარების საჭიროა თქვენც ოდნავათ მაინც ჩაუკვირდეთ ახლო წარსულს, რომელიც ჩვენს შორის არსებულ პრინციპიალურსა და ტაქტიკურს საკითხებში უთანხმოებას ნათლათ დაგიმტკიცებსთ. და თუ მაინცა და მაინც პიროვნებები ამოგიჩემებიათ და მათ აბრალებთ პარტიის გათიშვას მაშინ ნება გვიბოძეთ ასეთი პიროვნებები თქვენში ვეძიოთ, ისინი თქვენს პარტიაში ძალიან ბლომათ არიან და სწორეთ მათმა ენერგიამ, აჩქარებულმა და თავ-დაუჭერელმა მოქმედებამ ხელი შეუწყო სასწრაფოთ მომხდარიყო აქტი პარტიის დანაწილებისა, რომელიც მოსალოდნელი იყო ამ ორთა თუ არა ახლო მომავალში მაინც. თუ კი ეს ასეა რათ ათვალთვალებთ თქვენს ხელებს სხვის ხულსა და გულში, შინაურობაში მიმოიხედეთ და თქვენიანებს მაგარი ლაგამი ამოდევით რათა მათ ჩვენს შორის მდგომარეობა არ გაამწვავონ და ამ სიმწვავემ უკიდურესობამდი არ მიიღიოს.

კეთილი ხანდალა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშები ინგლისის მთავრობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. გეგეჭკორმა სტამბოლში ინგლისის ჯარების მთავარ სარდალს შემდეგი დეპეშები დაუგზავნა.

პასუხად თქვენ მიერ გადაცემულ საქართველოს მთავრობისადმი ტელეგრამისა 9—1—19 1—4342. გთხოვთ აცნობოთ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი:

„„ქართველი ხალხი და მთავრობა საქ. რესპუბლიკის ერმა კმაყოფილებითა და მადლობით შეხვდა თქვენ მიერ გადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობა თანაგრძნობით უცქერის საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და მზად არის დაიცვას და მხარი დაუჭიროს მას საერთაშორისო კონფერენციაზედ. ეს ცნობა იწვევს ქართველ ხალხის გულში წრფელს გრძნობას მადლობისას და გვინერგავს იმედს, რომ საქართველოს ახალგაზდა რესპუბლიკისა და ბრიტანიის დიდი ერის შორის დამყარდება საუკეთესო დამოკიდებულება“.

ამხანაგებო, ხმა მიეცით შემარცხენე ხოციალისტ-ფედერალისტ-რადიკალისტთა მაშვრალთა პარტიის ხმის.

№ 7

ჩვენი კანდიდატები თბილისის საქალაქო არჩევნებში.

1. **წერეთელი ალექსანდრე ოთხებისძე—პარლამენტის წევრი, ფედერალისტი.**
2. **სულთანიშვილი გიორგი ივანესძე—ტრამვაის მუშა.**
3. **ლეონავა ნიკოლოზ რომანისძე—ინჟენერი.**
4. **ჩომახიძე ერასტი გაბრიელისძე—რკინის გზის მუშა.**
5. **აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმერისძე—მასწავლებელი, ფედერალისტი.**
6. **ქეელიშვილი ევსევი გიორგისძე—ტრამვაის მუშა.**
7. **ქვერეხაძე ერმალოზ ივანესძე—ტრამვაის მუშა,**
8. **უსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობისძე—რკინის გზის მუშა.**
9. **სტურუა ანტიოხ ივანესძე—საზოგადო მოღვაწე.**
10. **ჩიქოვანი თეოფანე საბასძე—პროკურორი.**
11. **ტუსკია აკაკი მელენტისძე—მხედარი.**
12. **ჩიკვაიძე გრიგოლ მეთოდესძე—მუშათა და ჯარის კომ. სამ. წევრი.**
13. **ითოელიანი ალექსანდრე იასონისძე—რკინის გზის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექციის წევრი.**
14. **ბარათაშვილი კარპეს ფარნაოზისძე—ფარმაცევტი.**
15. **ია შვილი დავით ქაიხოსროსძე—პარტიული მუშა.**
16. **მალრაძე ფილიმონ გიორგისძე—ტრამვაის მუშა.**
17. **ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.**
18. **დვალი მარო ალექსის ასული.**
19. **ელიავა მიხეილ ელიზბარისძე—რკინის გზის მუშა.**
20. **ჯაკოიშვილი გრიგოლ სვიმონისძე—მუშა.**

ძვირფას ამხანაგ რუბენ პაპუაშვილის ხსოვნას.

რიდესაც სომხეთის ჯარი ჩვენ ქვეყანას ვერაგულად თავს დაეცა.

ჩვენი ერის სხვა და სხვა ნაწილში მრავალად გამოჩნდენ თავგანწირული ახალგაზდები, რომელთაც თვისი სიცოცხლე უხმოდ მიიტანეს მშობელი ქვეყნის თავისუფლების წინაშე. შეიძლება ბევრი ასეთი გმირის სახელი არ იცოდეს ფართე საზოგადოებამ, მაგრამ მათ სახელს იცნობდა ის ბრძოლის ველი, სადაც ორი მეზობელი ერი ერთი მეორეს სასტიკად ებრძოდა; ერთი მოღალატური თავდასხმით, მეორე კი თვისი ქვეყნის თავგამოდებული დაცვით. და საყურადღებოა მაინც ის გარეგნება, რომ ხშირად ის ქართველი სამხედრო პირებიც კი, რომელნიც შეიძლება ბევრით იყვენ შეურაცხყოფილნი, ყოველივეს ივიწყებდენ და აჩქარებულად მიეშურებოდენ ბრძოლის ველისაკენ და იმ გმირთა შორის, რომელთაც სიცოცხლეშიდაც დასძლიეს ხიკვდილი, ეკუთვნოდა თავისუფალი ქვეყნის საკურთხეველზე ანაზდეულად შეწირული წმინდა ტარიგი—ამხ. **რუბენ პაპუაშვილი.** მირველ ხავ მუხანათური შემოსევის შემდეგ რუბენი ბრძოლის ქარცეცხლში მოხვდა და დაილუპა კიდეც გმირი გმირულად. გაძარცული, შიშველი ძმიმე ხასიკვდილო იარებით ნაევთ ცივს მიწაში იგი თანამებრძოლთ და ბევიდან მხოლოდ პატარა ქვა დაედვათ... და დიდხანს რუბენის ნათესავთ და მეგობართ ეგონათ, მართალია რუბენი ფეხზე-უკელოდ დაიკარგა მაგრამ ალბად ტყვეე ერის წაყვანილი. ხოლო მისი შეგინებული გვამი დღეს უკვე აღმოაჩინეს და ალბად ხვალ წაასვენებენ ქუთაისში, რათა უფრო მეტის ყურადღებით ისევ მშობელ მიწას დაუბრუნონ.

ამხ. რუბენს ყველაზე კარგად ჩვენი ქუთათური ამხანაგები იცნობდენ, განსაკუთრებით ამხ. მუშები, რომლებთან ერთად დაუვიწყარ რუბენს ბევრი შეხვედრია, ბევრი საერთო ბრძოლა გამოუვლია და ბევრი მწუხარება განუცდია. **მუდამ** ბრძოლაში, სიცოცხლით სავსე, ახალგაზდური გატაცებით აღტყინებული, რუბენი ჩვენს წნეებში დიდად საყვარელი ამხანაგი იყო. გვამხნევებდა თვისი მტკიცე ხასიათით და მუშაობის დროს ყოველთვის მზად იყო, სიტყვით დაემტკიცებია სიყვარული თვისი პრინციპების წინაშე... და ბრძოლის ველზედაც ვაჟკაცმა თვის ბუნებას ვერ ულალატა -აქ უფრო მეტად, თავგანწირულად დაამტკიცა თვისი რწმენა „სიტყვა სხვა, საქმე სხვა“..

ნეტარ იქნება შენი ხსოვნა ჩვენს წრეში, დაუვიწყარო რუბენ! ჩვენ, ვინც გავბედეთ „ახალი ნაკადის“ დუდუნის გაგონება, უსასტიკესად ვგრძნობთ შენს მოწაფებრივ სიკვდილს, მაგრამ ვამაყობთ კიდეც შით...

ჩვენს პარტიაში.

მოწოდება ამხანაგებს!

ამხანაგებო! თქვენი პარტია დღეს თქვენგან დიდ მუშაობას მოითხოვს. დაარსეთ ყველგან ორგანიზაციები და გაგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების სასოფლო, სასოფლო-კომისიებში. ამხანაგებო, გახსოვდესთ, რომ ჩვენი სია, რომელიც 9 ნომერით გამოდის, მხოლოდ მშრომელი ხალხის ერთგულ დარაჯთაგან შესდგება. მაშ, ეხლავე მუშაობას მოჰკიდეთ ხელი, გაორკეცეთ თქვენი ენერგია, რომ თქვენი წვლილი უხვად დატრიალდეს იმ წმინდა საქმეში, რომელსაც ჩვენი პარტია ისახავს. დაუახლოვდით ხალხს, გააცანით ჩვენი პრინციპები, ის პრინციპები, რომელთაც განსვენებული არჩილ ჯორჯაძე თვის „ძველსა და ახალში“ აღიარებდა. ეს პრინციპები ერთად-ერთი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოა.

მთავარი კომიტეტი.

ქუთათურ ამხ. მუშებს!

თქვენ შესახებ, ამხანაგებო. აქ ხმები გაავრცელეს, თითქოს თქვენ მტრულათ შეხვედროდეთ იმ პარტიის გაჩენას, რომელიც მუშებისა და სოციალისტური ინტელიგენციისაგან შესდგება და რომელიც თვის მიზნად მხოლოდ მაშვრალთა სამსახურს ისახავს. მაგრამ თქვენმა ხმამ, ამხანაგებო, ჩვენც გაგვამხნევა და ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ თქვენ მუდამ იმ ჯგუფთან იქნებით, რომელსაც მაღლა ეჭირება სოციალისტური დროშა. ჩვენ ვფიქრობთ, ამხანაგებო, რომ თქვენს წრეში [illegible] გამოჩნდებოდა, რომელიც [illegible] ალალის [illegible] ამ [illegible] ბევედროდეს: ჩვენც [illegible] ვიძიებენით, თავგანწირულნო [illegible] ბრძოლნო, და სულის სილრმეშიც [illegible], რომ თქვენ შორიშს არ [illegible] ჩვენი

ორგანიზაციების ბრძოლისა და განვითარებისათვის. ჩვენც ოქვენთანა ვართ, ამხანაგებო, მუშაობასა და მოქმედებაში.

მთავარი კომიტეტი.

ეროვნული კომიტეტების კრება.

დღეს იანვრის 31-ს, საღამოს 5 საათზე ჩვენი პარტიის პირველი რაიონის კლუბში (მუშტაიდის შესახვევში № 15, შესავალი ვზოდან) დანიშნულია მთავარი, საქალაქო, და საუბნო კომიტ. და ორგანიზაციების წარმომადგენლების. კრება დასწრება ყველა წევრისათვის სავალდებულოა, გაირჩევა გადაუდებელი კითხვები.

დღეს 30 იანვარს საღამოს 9 საათსე საექიმო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია აფთიაქში მოსამსახურე სოც. ფედერალისტთა საერთო კრება ვინაიდან განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლათ დასწრონ კრებას.

სტუდენტთა კრება.

პარასკევს, 31 იანვარს, საღამოს ლექციების შემდეგ დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის მემარცხენე სოც.-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის სტუდენტთა კრება, ვინაიდან გასარჩევი ფრიად საყურადღებო საკითხები ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველად დასწროს.

როგორ აცხობენ ფედერალისტები პროტესტებს.

ფედერალისტების პარტია ჩვენ საწინააღმდეგოდ დიდ შეტევას აწარმოებს. მათი აგენტები დაძრწიან სოფლად და ქალაქად და თუ სადმე ორიოდე თანამოაზრე იშოვეს, დაუყონებლივ საპროტესტო დეპეშებს აგზავნიან თავის ლიმ ორგანოში. ჩვენ კარგად ვიცით ფასი, ღირებულება და მნიშვნელობა ამ რეზოლიუციებისა და პროტესტებისა და ამიტომ მეტისმეტად დამშვიდებული ვიხმენთ მათ. მაგრამ არის ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც საჭიროა ზოგიერთი განმარტება, მაგ. ფედერალისტებმა მოიჯარადრე ფარმაცევტები შეაგროვეს და ჩვენ წინააღმდეგ, როგორც ფარმაცევტთა ორგანიზაციას, საპროტესტო რეზოლიუცია გამოატანინეს. ჩვენ ახლაც ამან გაგვაკვირვა, მაგრამ რომ ხაზგასმა შეცდომაში არ შევიდეს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ შუშა ფარმაცევტთა შორის (რომელიც სოც.-ფედერალისტების ჯგუფში იყვენ) დიდი ნაწილი სწორედ ჩვენს პოზიციას იზიარებს. აგრეთვე სტუდენტთა შორის ჩვენა გვყავს განსაზღვრული ჯგუფი თანამოაზრეებისა და მათმა ნაწილმა გაუსაკუთრებელი განცხადება შეიტანა ს.-ფედ. სტუდენტთა კრებაზე, მაგრამ ფედერალისტებს სურთ დაამტკიცონ, რომ ერთხმად ემხრობა მათ ყველა და ამიტომ არც განცხადება გამოაქვეყნეს.

ამის ვიტყვით საუბნო კრებების შესახებ, რადგან ვგონებ ყველას მოეხსენება მათი „ისტორია" (აიღეთ მაგალითად ნაძალადევი [და სხვ.). ფედერალისტებს სურთ დაუმტკიცონ ყველას მხოლოდ ერთი რამ, რომ ჩვენ თანამგრძნობები არა გვყავს, მაგრამ ამაოა ეს ცდა და ამაშიაც ვგონებ თითონაც დარწმუნებული არიან...

ეროიკანა დეპუტატი.

„კუმ ფენი ვამოყო მეც ნახარ-ნახირაო", ამის დაუშატეთ მკითხველო ერთი იგავიც:—„ერთმა ქათამმა სოქვა ბატის ოდენა კვერცხი უნდა დაედოვო და გაიხა". ამ ორ ანდაზა და იგავის ანალიზის შემდეგ მიიღებთ საქართველოს პარლამენტის მუშებისაგან ამოურჩეველს და სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის წევრს ერასტო ტოროტაძეს. მე არ მესმის რომელ ქვეყნის საარჩევნელო ფირმის მანქანას წარმოადგენს ეს ვაკბატონი. ეს კი ვიცი რომ იგი მარტო თითის ავტომატია და სხვა არაფერი. ყველა გაზეთის მკითხველი დამეთანხმება რომ, პარლამენტის სტენოგრაფიულ ანგარიშში ეერ. ტოროტაძე ახალი ხილია, არავის არ გაუგონია. მაგრამ პარლამენტის ბდივანს კი, რომ კითხო, რასაკვირველია? გეტყვით... ხის... თითებს ეწევაო!

იქნება იკითხოთ მკითხველო, რა ვქნათ, შეიძლება ლაპარაკი არ შეუძლიან, მაგრამ სამაგიეროთ მომზადებული იქნებაო, ნასწავლია, პრაქტიკიანია. არა ამხანაგო, მისი გონებრივი ავლა ადიდება კურდღელს კი, არა ჭიანჭველას ვერ დაამძიმებს, გაკვირვებით კი სულაც არაფერი მანკარგათ არცკი იცის თუ რაა ძირითადი პრინციპი სოც.-ფედერალისტებისა. მაშ რათა ხის პარლამენტში. იქ ხომ საქმის კაცია საჭიროა?

და მაგასაც მკითხველო თავის საქმეთ ის გაუხდია. რომ, რომელი სოც.-ფედერალისტის ფრაქციის წევრიც არ უნდა იყოს. და, ერასტოს მარცხენა მხარზე თითს მოაკვრეს, მარჯვენა ხელის თითი ჰაერში აუთამაშდება თავისდა უნებურად. დღემდის მის ამ დირსების კლოუნობას მივაქცევ თქვენ ყურადღებას. მაგრამ თურმე ნუ იტყვით, სხვა ღირსება მისი ჯერ ვერ გაგვიცვნია, და აი „სოც.-ფედ." 20 იანვრის ნომერი დიდი ყურადსაღებია. თურმე მას თავისი თავის კადიდების იმედიც ჰქონია, და მასთან დიდი მკვეხარაც ყოფილა. ალ. წერეთელთან სჭიმავს ფეხს, „ჰოი საკვირველებავ, სასაცილო ამბავს" გვიყვება: „მე ალექსანდრე წერეთელზე მემარცხენე ვარო!" ჰა, ჰა. . გვეცინება, ვეუბნებით: ბიჭო გაჩუმდი! სხვამ არ გაიგოს, შენი ან მემარხენე ხმა ვის გაუგონია ან მემარჯვენე! როცა შენ ჩვენი ფრაქციის წევრთა უბრალო, ჩუმი, მუნჯი ავტომატიური თითის მანქანა ხარო, მაგრამ ერასტო არ სცხრება, გაიძახის რას ამბობთ კაცო! ალიოშა ვინ არის? მე ის რას შემოამწვდებო.

ამისთანა ჭირვეული დეპუტატზე გვეცინება... მაგრამ რაინდი დონ-კიხოტ-ერასტო „მუშა დეპუტატი" მუშებს გვეუბნება: „ჰოი ოქვე გზა აბნეულებოვო" და... ლანძღავს ალიოშას და ჩვენ. მაგრამ რა ექნათ?.. რა პასუხი უნდა გავცეთ მუშებო იმ პირთ? რომლებიც ჩვენი ხარჯით, ჩვენი სახელით, ჩვენი უნარით და მოქმედების წყალობით ზიან საქართველოს პარლამენტის დარბაზში და ჩვენზე ბატონობენ, ჩვენვე გვტუქსავენ. და ჩვენ მუშებს თვით გზა აბნეული და ასეთივე ფრაქციის წევრი ტოროტაძე ჩვენ გზა აბნეულს გვეძახიან? მეორე ბატონი იურისტი-ვექილი „რაზბონიკებს" გვეძახის. მუშებს ეუბნება წადით ჯიბგირების პარტიაშიო. ყველა ამას რით უნდა გავცეთ პასუხი? პასუხი ერთია! ნუ ავყვებით მლანძღველებს! ჩვენ მათთვის არა გვცალიან, ჩვენ მუშები ვართ! ჩვენი მიზანი ის კი არ არის რომ ჩვენი „ნაკადი" გინების ფურცლად ვაქციოთ, არამედ ის რო მოვაწყოთ მაშვრალთა მტკიცე ორგანიზაციები, შევიტანოთ მათში კლასიური თვითშეგნება, მიუთითოთ ჩვენ დიადი მიზნისკენ—სოციალიზმისკენ. მიუგდოთ მაშვრალთა ქოხმახებში განათლების და შეგნების ნაკადი, და ეს ნაკადი თვითონ გაუწევს ყურებს იმ დიპლომიან ცხოველებს რომლებსაც სურთ ლანძღვითა და ტყილებით ჩვენი დათრგუნვა. მათ შეგნებული მუშები დარაზმული თავის დროზე გაუსწორდებიან და ეტყვიან: ხელები შორს, არ გამაჭუჭიანოვო!

ერასტო ტოროტაძესთანა კლაკორი მუშა ფედერალისტებს ბევრი გამოუჩნდებათ და წერეთელს. დაუწყებენ არა კრიტიკას, არამედ გინებას. მაგრამ იგინი პასუხის ღირსნი პრესით არ არიან, რადგან ყველა ოჯახი უმახინჯო არ იქნება.

დინჯი მუშა.

ახალი ამბავი

24 იანვარს, თფილისის სისხლის სასამართლოს მიდიციის უფროსმა ეორდანიამ ოთხი თვის ძებნის შემდეგ შეიპყრო ქალაქ თელავის. კომისარის კალანდაძის მკვლელი ითსებ მირიმანოვი.

ტყიბულის მაღარეები. [illegible] ტყიბინებიან ტყიბულის მაღაროებში მუშაობა გახახლდა.

თფილისის [illegible] ბრალმდებელ[illegible] წარუდგინა მოხსენება დუშეთის მაზაოში აჯანყების გამოძიების მსვლელობის შესახებ. ამ დღეებში იუსტიციის მინისტრი წარუდგება მთავრობას მოხსენებით ამ საქმის შესახებ.

ხახალხო უნივერსიტეტში. დღეს 30 იანვარს საღამოს 6 საათზე ხახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია ს. ფორტოლიანისა—„ქართულ მწერლობის ისტორიის". შესახებ.

საგანგებო სახამართლო ხელუბეში. ამა წლის 1 თებერვლიდან სოხუმში გაიხსნება რესპუბლიკის საგანგებო სახამართლო; ამისათვის ქუთაისის საგანგებო სახამართლო უკვე შეუდგა მუშაობას.

ხამტრედიის რევოლიუციონური ტრიბუნალის ლიკვიდაცია. ხამტრედიის რევოლიუციონური ტრიბუნალის ლიკვიდაცია დამთავრდა. ტრიბუნალის ყველა საქმეები გადაეცა ქუთაისის საოლქო სახამართლოს ბრალმდებელს.

მატარებლის დაჯახება. 28 იანვარს ბოლის და ავარას შუა ინგლისის სამარგო მატარებელი № 200 დაეჯახა ცარიელ ვაგონს, რომელიც იდგა 190 ვერსტზე; უკანასკნელი ძლიერ დაზიანდა. დაზიანებულია აგრეთვე № 200 შემადგენლობა, მატარებელში მყოფი ხალხი უვნებლათ გადარჩენ. ბაზე მიმოსვლა 7 საათის განმავლობაში შეჩერდა.

ძარცვა გლეჯვა. 28 იანვარს ლაბინ ტერმელიკასეულოვის ბინიდან ხოჯევანის ქუჩ. № 15. ოთხმა შეიარაღებულმა, ბოროტმოქმედებმა წაიღეს 7 ათასი მანეთი და მიიმალნენ.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა რომ სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე აეტეკი საკანონი დაუბრკოლებლივ შემოუშვან საქართველოში.

ხომეს მხახიობის გარდაცვალება. 28 იანვარს სახალო გარდაიცვალა ცნობილი სომეხი მსახიობი ვ. მირალიანი.

სხვა და სხვა ამბები.

ბოლშევიკების მდგომარეობა.

ცნობილი ბოლშევიკი სტეკლოვი სწერს: ბალე მოსკოვი გადაიქცევა ერთად ერთ ცენტრად; სადაც თავს მოიყრის ყველა პატიმანი და პროლეტალურ რევოლიუციის ერთგული პირი, აქ, საბჭოს რესპუბლიკის ამ უკანასკნელი თავშესაფარის გარშემო საბედისწერო ჟილილში ერთი მეორეს დაეტაკება ორ შეურიგებელი სტიქია საერთაშორისო კაპიტალისა და რუსეთის პროლეტარიატისა.

საქონელი ინგლისიდან.

მთავრობის თავმჯდომარეს ლონდონიდან ქართული დელეგაციის ერთ წევრისაგან დეპეშა მოუვიდა, რომელშიაც ეკითხებიან საქართველოსთვის საჭირო საქონელზე. მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა სხვა და სხვა დაწესებულებათა ამის შემდეგ სია გაიგზავნება ლონდონს.

რედაქტორ-გამომცემელ
ხარედაქციო კოლეგია.

სტამბა „ქართველი ბეჭდვითი ამხანაგობის", გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.